№ 201
ხუთშაბათი, 22 სექტემბერი 1894

1877—1894

# ივერია

**გაზეთი ღირს:**

| თვე | | მან. | კ. | თვე | | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 12 | . . . | 10 | — | 6 | . . . | 6 | — |
| 11 | . . . | 9 | 50 | 5 | . . . | 5 | 50 |
| 10 | . . . | 8 | 75 | 4 | . . . | 4 | 75 |
| 9 | . . . | 8 | — | 3 | . . . | 3 | 50 |
| 8 | . . . | 7 | 25 | 2 | . . . | 2 | 75 |
| 7 | . . . | 6 | 50 | 1 | . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

№ 201
ხუთშაბათი, 22 სექტემბერი 1894

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად:**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

## საკომერციო კურსები

### ქალებისა და ვაჟებისათვის

წელი მეცამეტე

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვაჭრობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1894—95 სამოსწავლო წლის შემდეგი საგნები იქმნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომიას, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხჰალტერია მარტივი, ორ-კეცი და საბანკო, 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით. 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) საკურსო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გაკრულად შესწორება (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდამ. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდამ, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფიდლონოვისა № 9, სერგიევისა და ნაკოჩნის ქუჩაზედ, ხოჯთისქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიმართოს კურსების დამაარსებელს ვ. მანუჟლიანცს, ტფილისს.

(24—1297—16)

## ტფილისი, 22 სექტემბერი

—

დღევანდელის წერილის გამოკიევიდგან საჭიროდ მივგაჩნია აღვძრათ ლაპარაკი ერთის მივიწყებულის საგნის შესახებ. ეს მივიწყებული საგანი არის სტუდენტების კასსის ვალი, რომელიც მრავალზედ დარჩენილა აქამდე და რომელსაც ზოგიერთნი ვალადაც არა სთვლიან და გადახდასაც არ უპირებენ.

ამ საგნის შესახებ პირველად ჩამოვარდა ლაპარაკი ჩვენს მწერლობაში ორის წლის წინად, როდესაც სტუდენტებმა მიჰმართეს „სტუდენტთა კასსის" მოვალეებს, რომ გაჭირვებაში ნასესხები ფული დაებრუნებინათ იმ გვარსავე გაჭირვებაში მყოფ მოსწავლე ქართველებისთვის რუსეთში, მაგრამ ვერავითარი სანუგეშო პასუხი მიიღეს. ზოგიერთს ვალის ამღებს, გარდა იმისა, რომ ვერ მოეხერხებინა ვალის გადახდა, მოენდომებინა კიდეც დაესაბუთებინა და დაემტკიცებინა, რომ „სტუდენტთა კასსის" ვალის გადახდა სავალდებულო არ არისო.

ერთი ამ გვარი წერილი პეტერბურგის სტუდენტებმა დაჰბეჭდეს სასულიერო ჟურნალს „მწყემსში" 1892 წ. ეს წერილი ეკუთვნის ვაჟა-ფშაველას. «ივერიამ» გადმოჰბეჭდა და თავისის მხრივ დასძინა: „მოგვყავს რა ეს მიწერ მოწერა გაზ. „მწყემსიდგან", ამ ხელად ჩვენ არას ვიტყვით თვით წერილის შინაარსის შესახებო".

განვლო ორმა წელმა მას შემდეგ, და დღესაც იგივე საგანი გადასაწყვეტად არის დარჩენილი... კიეველი კორესპონდენტი ერთობ სამწუხარო სურათს გვიხატავს; ჩვენი მოსწავლე ახალგაზდობა უკიდურესს გაჭირვებაშია თურმე ის, რაც ზნეობის კანონით, და აგრეთვე სახელმწიფო კანონითაც ერგებათ, ჯერაც ვერ აუღიათ, არა თუ ისეთებისაგან, რომელთაც შეძლება არა აქვთ, არამედ იმათგანაც, რომელნიც სრულიად უზრუნველნი არიან ქონებით და ადვილად შეუძლიათ გადაიხადონ ეს რამდენიმე ბისტი.

ამიტომ, ჩვენ არა თუ საჭიროდ მივგაჩნია გამოვსთქვათ ჩვენი აზრი ამ საგნის შესახებ, არამედ ვალდებულნიცა ვართ, რადგანაც „ივერიამ" იმ ხელად არა სთქვა-რა თვით წერილის შინაარსის გამო.

მაგრამ ამისთვის საჭიროა კიდევ ერთხელ გადმოვბეჭდოთ ვაჟა-ფშაველას წერილი, რომ შევეძლოს ღირსეულად გავარჩიოთ და დავაფასოთ საფუძვლიანობა ავტორისაგან მოყვანილის მოსაზრებისა. ვაჟა-ფშაველა სწერს:

„ბატონებო! ფრიად ვწუხვარ, რომ თქვენს თხოვნას ვერ ვასრულებ უქონლობისა გამო, რასაკვირველია, და თუნდაც მქონდეს, მაინც არაფერს არ გამოგიგზავნიდით. რისთვისაო? იკითხავთ. იმისთვის, რომ ეგ ფული ვალად არ ამიღია სტუდენტების წრისაგან; თუ ვალის თხოვნაა და ვალად ჩასაგდებია ხუთი თუმანი, ამ ვალს ეხლანდელები-კი არ უნდა თხოულობდეთ, ისევ იმათ უნდა ითხოვონ, ვინც ეს ფულები გაიღო და არა თქვენ, რომელთაც არავითარი ნაწილი არა გაქვთ ამ 50 მანეთში. ეს ერთი. მეორე: ვსთქვათ, ვიშოვე ხუთი თუმანი და გამოვგზავნეთ, რომელი ერთი მშიერი უნდა გაგაძღოს იმ ხუთმა თუმანმა?! შვიდ კაცსა გვშიანო, შემომტირ-თ,—არავითარი საშუალება ცხოვრებისა არა გვაქვსო. მერე რას აკეთებთ მანდ ეგ შვიდი კაცი, მშივრებმა რა უნდა ისწავლოთ? სიმშილ-წყურვილით მიღებულის სწავლისა მე არაფერი მწამს, რადგან ასეთი სწავლა დიპლომით შეიარაღებული მხოლოდ კუჭის გაძღომაზედ ჰფიქრობს და უთქვენოდაც მრავალნი გვყვანან კუჭის მსახურნი, მუცლის მაღმერთებელნი. ცხრა მთას იქით რომ სიმშილით არ იხოცებოდეთ და ჩემისთანა ღარიბს მომეტებულად არ აღარიბებდეთ, არა სჯობს ჩამოხვიდეთ თავის სამშობლოში და აქ დაიხოცნეთ! თუ სხვა ხელობას ვერას მიიღებენ ეგ მშიერნი, ხელები ხომ ასხიათ ტანზედ, იმუშაონ და იცხოვრონ. თუ ვაჟა-ფშაველა არა თაკილობს, ხმარობს თოხსა და ნიჩაბს, გუთანს იჭერს, მაგათ რატომ აღარა უნდა იკადრონ?! თქვენი კეთილის მოსურნე ვაჟა-ფშაველა".

თვითონ ამ პასუხის შინაარსი ბევრს რასმე უხატავს გამჭრიახს მკითხველს და ამიტომ ჩვენ მეტი განმარტება საჭიროთ აღარ მივიჩნიეთ, ხოლოდ ვთხოვთ „ივერიის" რედაქციასაც ამ წერილის გადაბეჭდვასა.

პეტერბურგის ქართველი სტუდენტები

ჩვენ არავითარს ყურადღებას არ მივაქცევდით ამ წერილს, რადგანაც სისუსტე მისი ყოველის მხრით ერთობ ნათელი არის. არ გვგონია, რომ ავტორის საზღვარს გადაცილებულმა საბუთებმა ვინმე დაარწმუნოს და აფიქრებინოს, რომ ვალის გადახდა არ უნდოდეს?!.

როგორცა სჩანს წერილის დასაწყისშივე, ავტორსაც არ სჯერა, რომ ეს ვალი არ უნდა გადაიხადოს და თავის მწუხარებას აცხადებს, რომ არა აქვს გასაგზავნი ფული. მაგრამ იქვე რაღაც უცნაური ქარი წამოუბერავს და აწერინებს: „თუნდაც მქონდეს, მაინც არაფერს არ გამოგიგზავნიდითო".

მერე, რატომ, არ იკითხავთ? ამის პასუხად ვაჟა-ფშაველა თამამად აღიარებს: „ერთი, რომ ვალად არ ამიღია ის ფული და მეორე, თუ ვინმემ უნდა ითხოვოს, ისევ იმათ, ვინც ეს ფულები გაიღო და არა თქვენ, ახლებმა, რომელთაც არავითარი ნაწილი არა გაქვთ იმ 50 მანეთში?"-ო.

ჯერ ერთი, ვალადაც რომ არ იყოს აღებული ეს სიმწარით მოგროვილი და სიმწარის დროს გაცემული საამხანაგო ვალი, მაშინაც რა სათქმელია:—ვალად არ ამიღია, არ გადავიხდი, და არ განვითავისუფლებ თავს, თუ ვალისაგან არა, დავალებისაგან მაინც?

მეორეც, აქ რა მოსატანია ხერხი წვრილმან ადვოკატთა, რომ თქვენ არ გისე ხებიათ და ამიტომ თქვენ ვერც მთხოვთო? კარს გი, მაგრამ რომელნი უფრო საჭიროებენ ამ 50 მანეთს, ისინი, რომელნიც დაბინავდნენ და აღარც-კი ახსოვთ, არა თუ „სტუდენტთა კასსა", არამედ იქნება თვით უნივერსიტეტიც-კი, თუ ისინი, რომელნიც უკანასკნელ გასაჭირში არიან ჩავარდნილნი გარეშე ქვეყანას?.. მაგრამ, იმ მხრითაც არ არის მართალი წერილის ავტორი, როდესაც ამბობს, არ გიცნობთო! არა თუ სინიდისის კანონი, თვით სახელმწიფო კანონიც-კი ამტყუნებს და ახდევინებს ამ გვარს ვალს, როგორც ეს რარამდენჯერმე აღმოჩნდა გამოცდილებით.

ხოლო რაც შეეხება ვაჟა-ფშაველას მოსაზრებას, რომელს ერთს მშიერს გაუთვთ ეს 50 მანეთიო, ეს-კი შეუმართებად ახირებული ზრუნვაა? რომელს ქვეყანაში, ვინ, ან როდის წარმოსთქვა ასეთი უცნაური აზრი: ვალს იმიტომ არ ვიხდი, რომ ვალის მომცემთ არაფრად გამოგადგებათ ეს ფულიო. ვერავინ იტყვის, რომ ამ გულ-მტკივნეულობას სარჩულად სიყვარული და ნამდვილი ზრუნვა ჰქონდეს დადებული მოყვასისა? თქვენ თქვენი მოვალეობა შეგესრულებინათ და მოიხმარებდნენ თუ არა, ეს იმათი საქმე იყო და არა თქვენი.

დასასრულ ვაჟა ფშაველა გაგვირვებით ამბობს: „თუ ვაჟა-ფშაველა არა თაკილობს, ჰხმარობს თოხსა და ნიჩაბსა, გუთანს იჭერს, მაგათ რატომ არ უნდა იკადრონო?"

ასე ეგონება ადამიანს, ამისი დამწერი, ან ცინცინატი უნდა იყოს, ან გარიბალდი და ან მთავარ სარდალი სამხრეთის შტატებისა, გენერალი ლი მაინც, რომელნიც გუთანზედ მუშაობდნენ.

მეაგრამმას ამბობს ვაჟა-ფშავე

## ფელეტონი

—

### ჩვენი საზოგადო საქმეები *)

ხშირად მსმენია საჩივარი ჩვენს ლიტერატურაზე, მაგრამ ჩვენ საზოგადო საქმეებზე-კი ძალიან ძვირად. აქ იმალება სწორედ მიზეზი ჩვენის დღევანდელის ლიტერატურის არარაობისა. ლიტერატურა ლიტერატურისათვის, ლიტერატურა უმიზნოდ არ შეიძლება. სცდილობენ განავითარონ ლიტერატურა და არ მოეძებნებათ საგანი, რაზედაც უნდა ილაპარაკონ, საფუძველი, რომელზედაც უნდა ააშენონ იგი (ლიტერატურა). უსაქმობისაგან იბადება უაზრობა, და უაზროდ შეიძლება განა ლიტერატურა?!

დავანებოთ იმას თავი, რომ საქმე უფრო სასარგებლოა სიტყვაზედ; თვით ლიტერატურისათვისაც-კი ისა სჯობია, რომ მეტი ვიზრუნოთ საზოგადო საქმისათვის. ამითი ლიტერატურა ისე გაუმჯობესდება, რომ ჩვენ არც-კი მოველოდდეთ.

მაშ მივაქციოთ უმთავრესი ყურადღება არა გამოთქმას, გამშვენიერებას სიტყვისას, არა ლიტერატურულ თავმოყვარეობას, მე ვჯობივარ, თუ სხვაო, არამედ ჩვენს საზოგადო საქმეებს, საზოგადო საჭიროებას. დეე ნუ იქმნას ლამაზად გამოთქმული იდეა: რას ჰნიშნავს გარეგანი ფორმა, თუ შინაარსი კარგია! სიმძიმის ცენტრი შინაარსშია: შინაარსი ჰქმნის, ბოლოს და ბოლოს, ფორმასაც. ნუ გამოვილევთ გრძნობასა და აზრს და ლიტერატურული ფორმა თავის თავად მოვა.

გადავავლოთ თვალი, რა შეიძლება გაკეთდეს ჩვენში? ამ კითხვის დროს წარმოგიდგებათ, ყველაზე უმალ, თვალ-წინ: ბანკები, დეპოები, სასწავლებლები. პირველი ორი საშუალება ნაცადია რუსეთში. დიდი იმედი ჰქონდათ ორივესი, მეტადრე ბანკისა, მაგრამ ბანკმა ის მოიტანა, რისი თავიდგან აცდენაცა სურდათ. მართლაც, ძნელად საფიქრებელია, რომ ბანკი ყველამ თანაბრად გამოიყენოს: ზოგი ისარგებლებს, ზოგი ვერა, და თუ ზოგიერთები გამდიდრდებიან, მაშინ დანარჩენები ხომ გაღარიბდებიან! სიმდიდრე და სიღარიბე უბანკოდაც ჩნდება, მაგრამ ბანკი, მოლოდინისა წინააღმდეგ, კიდევ უფრო ხელს უწყობს ამ არა-სასურველს მოვლენას. მაშასადამე, ბანკისაგან, რაც უნდა საშველავათო იყოს, ამ მხრივ სიკეთეს არ უნდა მოველოდეთ.

დეპოები? დეპოები ხომ ჩვენშიაც სცადეს. მაგრამ დიდი შეცდომა იქნება, რომ იმათგან დიდს რასმე გამოველოდდეთ. ვინც გამართავს, რატომ, კარგი საქმეა, მაგრამ, რასა კვირველია ამაზე არ უნდა დამყარდეს მთელი ჩვენი საზოგადო მოღვაწეობა.

ამას გარდა, არ უნდა დავივიწყოთ შემდეგი. სანამ ერობა არა გვაქვს, ვინ უნდა იზრუნოს ან დეპოებისათვის, ან ბანკებისათვის, ან სხვა რაიმე ამ გვარის საქმისათვის? ინტელიგენტებმა? მაგრამ უსასყიდლოდ ხომ ვერ იმუშავებენ?!. უნდა ვიცოდეთ, რომ ყოველ საქმეს, რომელიც-კი მოითხოვს თავის შეწირვას, მცირე ეყოლება მუშაკი. არის ხოლმე იმისთანა წუთი კაცის სიცოცხლეში, როდესაც ყველას შეუძლიან შესწიროს თავი, გმირობა გამოიჩინოს, მაგრამ ვერავის ვერ მოვთხოვთ,—და, კიდეც რომ მოვთხოვოთ, არა გამოვა-რა,—რომ მთელის თავისის სიცოცხლის განმავლობაში ყველაფერი დასთმოს საზოგადო საქმისათვის. ეს მხოლოდ ზოგიერთებს შეუძლიანთ. კაცი, უპირველესად, ეგოისტია და თითოეულს საზოგადო წარმატება თავისი კეთილდღეობისათვის უნდა. საგმობია თუ საქები ეს თვისება ადამიანისა, ეს სხვა საკითხავია. მე მხოლოდ აღვნიშნავ იმას, რაც არის.

მაშასადამე, ზემო-აღნიშნულ ნიადაგზედ ცოტა რამ შეიძლება გაკეთდეს სასარგებლო. ერთად-ერთი საქმე, რომელმაც ყველაზედ მეტი მოუტანა სარგებლობა რუსეთს, სკოლებია. სკოლა ამაღლებს გონებას, სწმენდს ზნეობას და ამითი ამრავლებს თვით ქონებრივ სიმდიდრესაც. ჩვენშიაც უმთავრესი ყურადღება სკოლებს უნდა მიექცეს. თუ სკოლებისთვის გამოვიყენებთ სასოფლო ბანკებს, დეპოებს და სხ., ძლიერ სასარგებლო იქნებიან ეს დაწესებულებანი. დეე იქმნას, რაც იქმნება, ოღონდ ხალხმა ისწავლოს, ხალხი გამოვიდეს ისტორიის გზაზედ. და მცირეოდენი რამ, რაც-კი დაითესება ამ

*) რედაქცია ამ წერილებში გამოთქმულ ყველა აზრს, რასაკვირველია, უთანხმება და საგნის შესახებ შემდეგ მოილაპარაკებს.

ლა, რომელსაც უიჭველია, ცოტა არ იყოს, დავიწყებია თავისი ხარისხიცა და თავისი მდგომარეობაც და მთელს განათლებულს ქართველ ახალგაზდობას ახლის ცხვირპირში კადნიერ და უაზრო სიტყვებს: თუ მე ვკადრულობ მუშაობას, თქვენ ვინა ხართ, რომ არ იკადროთო?

ვსთთქვათ, ვაჟა ფშაველა მართალია, იმის მაგალითით უნდა იცხოვროს და იმის აზრებით უნდა განიმსჭვალოს ჩვენი განათლებული თაობა, მაგრამ ეს რომ ვალის გადახდისაგან მაინც არ ანთავისუფლებს არც წერილის ავტორსა და არც სხვას ვისმე!

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ვისაც ჰმართებს რამე „სტუდენტთა კასსისა“, მალე მიაშველებს ნასესხებს ფულს და არ აიძულებენ სტუდენტებს, რომ ვალის ამღებთა სია სათითაოდ გამოაცხადონ და შემდეგ სასამართლოსაც მიჰმართონ ნასესხის ფულის გადასახდევინებლად.

ყოველი ესე შეეხება, რასაკვირველია, მხოლოდ იმათ, ვისაც ღონე აქვს ვალი გადაიხადოს, ხოლო ვისის ცხოვრების ჩარხი უკუღმა დატრიალებულა, უეჭველია იმას არც სტუდენტები დაემდურებიან.

მევალე

# დეპეშა

20 სექტემბერი

**შანჰაი.** პეკინში უცხოელთა მიმართ სიძულილი ძლიერდება; არეულობის თავიდგან აცილება ძნელია. პეკინში წარჩინებული ჩინელები შიშობენ, რომ, თუ ვინცობაა იაპონელები პეკინს დაეცნენ, უთუოდ დაიპყრობენ, რადგანაც ჯარის-კაცნი კმაყოფილნი არ არიან აწინდელის წეს-წყობილებით და ამიტომ იმათ ვერ ვენდობითო.

**ლონდონი.** ბოგდიხანმა ნავთსადგურის არტურის კომენდანტად ნამყოფი გენერალი სუნგი პეკინგის ჯარების მთავარ-მმართველად დანიშნა.

35,000 ჯარის კაცი ტიანძინის მახლობლად შან-ტუნგს მოვიდა.

რუსეთის სამხედრო ხომალდების უფროსი, რომელიც ამ ცოტას ხნის წინად იოკაჰამაში იყო, იძულებულ შეიქმნა თავისის გემებისათვის ბრძანება მიეცა საბრძოლველად მომზადებულიყვნენ, რადგანაც ბრიტანიის სამხედრო გემი სულ უკან დასდევდა და თვალ-ყურს ადევნებდა. ეს გემი მხოლოდ მაშინ მოშორდა რუსებისას, როცა დაემუქრნენ, რომ სროლას დაგიწყებთო. ბრიტანიის ადმირალმა პასუხი მოსთხოვა ამ მუქარისა, და პასუხად მიიღო, რომ ბრიტანიის გემის მიერ უკან დევნა და თვალ-ყურის გდება მტრულ საქციელად ჩავთვალეთო. ამითი დაბოლავდა ეს უსიამოვნება.

# ახალი ამბავი

*** მიწათ-მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის საგანგებო მინდობილებათა მოხელე და მეღვინეობის ინსპექტორი ა. ე. სალამონი გუშინ განჯაში წავიდა ვენახების დასათვალიერებლად.

*** გუშინ ტფილისში ჩამოვიდა კავკასიაში სარწყავ რუების ექსპედიციის უფროსი გენერალ ლეიტანტი ჟილინსკი.

*** ქალაქის გამგეობამ დაადგინა, რომ, რადგანაც ტფილისში აგრილდა, საყასბოში საქონელი დღისით დაჰკლან და დღისითვე გასინჯონ ხოლმე ბეითალებმა ხორცის ავ-კარგიანობაო.

*** სამშაბათს, 20 სექტემბერს, ტფილისის პირუტყვთა მფარველ საზოგადოების წევრთა კრება შესდგა სამეურნეო დარბაზში. კრებას მრავალი ხალხი დაესწრო. საზოგადოებამ საპატიო წევრად ამოირჩია პირველ გიმნაზიის დირექტორი ლ. ლ. მარკოვი და კრონშტადტის დეკანოზი იოანე სერგიევი. ამას გარდა კისლოვოდსკის პირუტყვთა მზრუნველად ამოარჩიეს წევრი ბ-ნი ბონდარენკო. დაადგინეს აგრეთვე მიწათ-მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა მინისტრს ბ-ნ ერმოლოვს ტფილისში მოსვლის შემდეგ მიართვან ამ საზოგადოების ანგარიშები და წესდება.

შემდეგ საზოგადოების თავმჯდომარემ სერგეევმა კრებას წაუკითხა მოხსენება ბავშვთა მფარველობის შესახებ. საზოგადოებამ დაადგინა იზრუნოს ბავშვთა სასტიკ მოპყრობისაგან დაცვისათვის და სანამ ყვერნი დაიწყებდნენ ამ მოღვაწეობას, საზოგადოების მართველობამ უნდა მოაგროვოს რაც-კი კანონები და კანონ-დებულებაა სენატის განმარტებითურთ ამ საგნის შესახებ, დაჰბეჭდოს და გაავრცელოს ხალხში. თუ ამ საზოგადოების წევრი შეიტყობს და დაამტკიცებს მცირე-წლოვანის ბავშვის ცუდ-უბრალოდ ცემას და ანუ სასტიკად მოპყრობას, ოსტატებისა, ანუ მზრუნველების და მშობლების მიერ, დამნაშავეს სამართალში მისცემენ და საზოგადოება თავისის ხარჯით ვექილს დაუჭერს ბავშვს.

*** ტფილისის ქალაქის მოურავი, როგორც ხმა დადის აპირობს იშუამდგომლოს ბ-ნ მიწათ-მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა მანისტრის წინაშე, რომ მუშტაიდზედ გზა გაიღოს დიდუბისაკენაო.

*** გუბერტ კუკის ცირკი კვირას, 25 სექტემბერს, უკანასკნელს წარმოდგენასა ჰმართავს ჩვენს ქალაქში.

*** ქართლი: ქართლელებმა დღეობები ღვთისმშობლობით გავათავეთ. თუმცა კაცის კვლა და სხვა ასეთი ამბავი არა მომხდარა-რა, მაგრამ სამაგიეროდ რამდენი კაციც მლოცავი მოსულიყო, იმაზედ მეტს ჯიბგირსა და ავ კაცს მოეყარა თავი.

*** სამშაბათს, 20 სექტემბერს სახელმწიფო თეატრში პირველი წარმოდგენა იყო ოპერისა. წარმოადგინეს მ. ი. გლინკას ოთხ-მოქმედებიანი ოპერა „Жизнь за царя“, რომელშიაც სუსანინის როლს ასრულებდა ბ-ნი ფიურერი, ანტონიდასას— ქ-ნი კარტავინა, რომელიც შარშანაც ჰგალობდა ტფილისის სცენაზედ, საბინინისას—ბ-ნი ოშუტოვიჩი, ხოლო ვანიასას—ქ-ნი კუტუზოვა-ზელიონისა. საზოგადოებას უფრო ბასი ფიურერი და ქ-ნი კუტუზოვა-ზელიონაია მოეწონა და რამდენჯერმე დააჯილდოვეს კიდეც ტაშის ცემით. ხორო მშვენივრად ჰგალობდა და თვალსაც ესიამოვნებოდა მისი ნახვა სიმრავლისა გამო. საზოგადოდ პირველმა წარმოდგენამ კარგად იმოქმედა საზოგადოებაზედ. მთელი თეატრის დარბაზი სავსე იყო ხალხით.

*** გაზეთს „Нов. Обоз.“ დეპეშით ატყობინებენ, რომ უმართებულესმა სენატმა ვ. ქილის ოპოჩინინის საკასაციო მიზეზნი შეიწყნარა და ტფილისის სამოსამართლო პალატის განაჩენი არ დაამტკიცა თავ. ერისთავისა, ლორთქიფანიძისა, ქაჯაიას და დევდორიანის საქმის შესახებ, რომელთაც ფოსტის გძარცვა ჰბრალდებათ ახალ-სენაკში.

*** ტფილისის ქალაქის სამოსწავლო კომისიას განუზრახავს, რომ ტფილისის სახელოსნო სასწავლებელთან კერძო განყოფილება დააარსოს იმ მოსწავლეთათვის, რომელთაც სხვა-და-სხვა მიზეზებისა გამო წერაკითხვის სწავლა არ შეუძლიანთ, მაგრამ ხელობას-კი გულიანად ეკიდებიანო. („ნოვ. ობოზ.“).

*** ორშაბათს, 19 სექტემბერს, საღამოს ცხრა საათი იქნებოდა, რომ ერევნის მოედნის მახლობლად მიმავალ ცხენის რკინის გზის ვაგონში საშინელი წივილ-კივილი გაისმა და ერთმა რიგიანად ჩაცმულმა მანდილოსანმა ორივე ხელები თავზედ იტაცა. ამ დროს ყურიდგან სისხლიც წასკდა, და წითლად შეუღება მხრებზედ წამოსასხამი და ტანისამოსი. თურმე სამმა ბოროტ-მოქმედმა განიზრახა ამ ქალის ბრილიანტის ნივთები მოეტაცნათ. ორმა მათგანმა გზაზედ ჩხუბი აუტეხეს ამ ქალის ქმარს და ცემა დაუწყეს. ცხენის რკინის გზის ვაგონში ხმაურობა ასტყდა. მესამემ ისარგებლა ამ ხმაურობით ყურიდგან ბრილიანტის საყურე გამოჰგლიჯა მანდილოსანს და გაიქცა. აღელვებულმა ხალხმა იქვე დაიჭირა ეს ორი ჯიბგირი და პოლიციას წარუდგინა. ქალს-კი მახლობელს აფთიაქში შემწეობა აღმოუჩინეს და ყურის ბიბილოდგან სისხლის დენა შეუწყვიტეს.

*** სოფ. ნოსირი (სენაკის მაზრა): სოფ. ნოსირიდგან დ. სუჯუნაში მიდის ერთად ერთი გზა, რომელზედაც აწვიმდება თუ არა ბედაურს ცხენს არ შეუძლიან გავლა, ისეთი საძაგელი ტალახი იცის ხოლმე ამ სოფელში. ბ-ნი მაზრის უფროსის ბრძანებით გზა-ტკეცილი უნდა გაეკეთებინათ აქედგან სუჯუნამდე და ხალხიც იყო გამოწვეული სოფლებიდგან სამუშაოდ, მაგრამ ზოგი ბოქაულისა და ზოგი მამასახლისის უყურადღებობით ეს გზა აქამდის გაუკეთებელი დარჩა. ხალხი-კი მეტის-მეტად გაჭირვებულია უგზოობის გამო.

*** 20 სექტემბერს მთაწმინდის ქუჩაზე მცხოვრებლის ივანე კრუშევნიკოვისშვილმა, ნიკოლოზმა, 5 წლისამ ნემსი იპოვნა და დედას წაუღო. ნემსი უეცრად გულში მოიხვედრა და შიგვე ჩაუტყდა. ბავშვი სამკურნალოში წაიყვანეს, ნემსის ერთი ნატეხი ამოუღეს და დანარჩენის ამოღება-კი ვერ შეიძლეს. ბავშვი რამდენისამე წუთის შემდეგ გარდაიცვალა.

*** გოლოვინის პროსპექტზედ მოვაჭრემ ადამ ზაალიშვილმა პოლიციაში გამოაცხადა, რომ 19 ამ თვისას ღამით დუქანი გამიტეხეს და 25 მან. ჩაი მომპარესო. დამნაშავენი არიან იბრაჰიმ-სეიდოღლი და მამედ-ჯარან-ოღლი, რომელნიც უკვე შეიპყრეს და მოპარული ჩაიც უპოვნეს.

*** 20 სექტ. «მატერიალის» ქუჩაზედ მცხოვრებელმა მღვდელმა ძიმისტარიშვილმა პოლიციაში გამოაცხადა, რომ ჩემმა ძაღლმა 4 წლის შვილი კასილი დამიკბინაო. ამასთანვე ისიცა სთქვა, რომ ვგონებ, ძაღლი ცოფიანი უნდა ყოფილიყოო. ძაღლი პოლიციამ მოაკვლევინა და ბეითალს წარუდგინა. იქ გასჭრეს და მართლა ცოფიანი აღმოჩნდა. ბავშვი საბაქტერიოლოგიო სადგურში გაჰგზავნეს.

# დამაკვირდი

საპოლიტიკო და სამოქალაქო თავისუფლება რაც უფრო კრძელია, მით უფრო სასტიკი უნდა იყოს კანონი.

კანინგი

**

არაფერია ამ ქვეყნად მუდმივი ცვლილების მეტი.

**

**

მოკალეობის შეგნება სულია, განმასხვავებელი ძალა აღზრდისა.

მიშლე

# კორესპონდენცია

**კიევი,** 9 ენკენისთვე. სწორედ ერთი კვირა ნახევარია რაც კიევში ვიმყოფები. ვინახულე, რასაკვირველია, ჩასვლისათანავე ყველა ქართველი ახალგაზდობა, გავიცან დავათვალიერე მათი ყოფა-მდგომარეობა. უნ-

ნიადაგზედ, გამოიღებს ნაყოფს ერთიასად. ამიტომ არ უნდა დავიშუროთ არაფერი, რაც შეგვეძლება, ამ ფრიად სასარგებლო საქმისათვის!

მაგრამ თავი მაინც არ უნდა მოვიტყუოთ დიდის იმედებით, ჯერ-ჯერობით ჩვენ ხელთ არაფერი არ არის, რომ გავაკეთოთ რამე სოფლის სკოლისათვის. როგორც ზემოდ ვთქვით, ამისთვის არ მოგვეძევება არც ქონებრივი სახსარი არც სხვა გარემოება გვიწყობს ხელს. მაშასადამე, რა ვქნათ, რა გავაკეთოთ? ნუ თუ ნიადაგი არ მოიპოება საზოგადო მოღვაწეობისათვის?.

შემცდარია, ვინც ასე ჰფიქრობს. ყოველ დროს აქვს თავისი მოთხოვნილება. ცხოვრება ერთობ რთულია, ყველა მისი ნაწილი თანაბრად არ მიდის წარმატების გზაზედ, ხან ერთი უსწრებს, ხან მეორე, თუმცა თითოეულს ნაწილს, ბოლოს და ბოლოს, დანარჩენიც მიჰყავს წინ. ისტორია, თავის მსვლელობაში, უხვევს იქითაქეთ, მიდის გან-და-გან. საზოგადო მოღვაწის მოვალეობა არის, შეიგნოს დრო-ჟამის მოთხოვნილება და უმთავრესი ყურადღება ამ მოთხოვნილებას მიაქციოს.

რა უპირველესი მოთხოვნილება არის ეხლა ჩვენში? ყველა დამეთანხმება, რომ აღზრდა იმ ახალგაზდებისა, რომელნიც ემზადებიან ინტელლიგენტებად. ამ საქმეს წყლულნი ისედაც უჩანს, ბევრი ლაპარაკი არ ეჭირვება, იგი თითონ ჰლაღადებს თავისს საჭიროებას. ვინ არ იცის, რომ ყმაწვილების აღზრდა ჩვენს ქალაქებში საძაგლად არის წარმართული! ვინ არ იცის, რომ ამ საწყლებს ჰშიანთ, სწყურიანთ, არ აცვიათ, არ ჰხურავთ, არა ჰყავთ პ ტრონი და ყურის-მგდებელი! დიაღ, ყველამ იცის ეს იმათი უნუგეშო მდგომარეობა! ყველამ იცის, რომ არავითარი მუშა-პროლეტარი არ იქნება ისე გაჭირვებული, როგორც ეს უსუსური, სათუთი ბავშვები არიან! მაგრამ მაინც არავინ ზრუნავს იმათთვის! ნეტაი, რას უნდა მიეწერებოდეს ასეთი გულქვაობა!?

ამისი შედეგიც ყველამ უწყის: ასში ხუთი თუ ასრულებს სწავლას და, ვინც ასრულებს, ისიც ისე დაღალულია, რომ არსებობისათვის ბრძოლაში აღარ ვარგია. დავანებოთ თავი სიბრალულს. საზარალო არ არის, ეკონომიურადა და ზნეობრივად ამდენის ინტელლიგენტის დაღუპვა?! ჩვენი ვალია ავაცდინოთ ეს ზარალი საზოგადოებას, ვიღონოთ რამე ღონე ამ საქმისათვის, აღვზარდოთ ახალგაზდობა და მოვიხადოთ ვალი მშობლებისა და ერის წინაშე!

ერთად-ერთი საშუალება ამისათვის, ჩემის ფიქრით, პანსიონის დაარსებაა. პანსიონი უნდა იყოს რაციონალური. ზედამხედველები უნდა იყვნენ გაფრთხილებულები, რომ ყმაწვილები არ გაირყვნენ; ამას გარდა, საჭირო იქნება პანსიონთან ბაღი და სახელოსნოები დაარსდეს, რომ ყმაწვილები ფიზიკურადაც განვითარდნენ და ცხოვრებაში საჭირო სამეურნეო და სახელოსნო ცოდნაც შეიძინონ; რადგან პანსიონის დანიშნულება ღარიბების აღზრდა უნდა იყოს, თითო მოსწავლეს არ უნდა გადახდეს შვიდ მანეთზედ მეტი თვეში და უნდა მიეცეს მშობლებს შეღავათი, რომ, ფულის მაგიერ, ჭირნახული შემოიტანონ. პანსიონთან ერთად უნდა იყოს პირველ-დასაწყისი სასწავლებელი, სადაც იაფად მოემზადებიან საშუალო სასწავლებლისათვის ღარიბი მოსწავლეები, და სხ. და სხ. დაწვრილებით გეგმის აღწერა ახლა უქმია.

ვინ უნდა ეცადოს ამ საქმეს? რასაკვირველია, ინტელლიგენცია. ინტელლიგენციამ უნდა დააარსოს საზოგადოება, რომელმაც ვალად უნდა იდვას ფულის შეგროვება „ღარიბ მოსწავლეთა პანსიონისათვის“.

და, თუ ეს საქმე შესრულდა, ამით ინტელლიგენცია გაუადვილებს შვილების აღზრდას ერის იმ ნაწილს, რომელსაც შეგნებული აქვს უკვე სწავლის მნიშვნელობა, რომელიც თავს არ იზოგავს და ტყავს იძრობს შვილების აღზრდისათვის. ეს შეგნებული ნაწილი საზოგადოებისა დიდს თანაგრძნობას გაუწევს იმ საზოგადოებას, რომელსაც აზრად ექნება მისის სურვილის აღსრულება, განხორციელება. ინტელლიგენცია მაშინ არის ძლიერი, როცა მისი მოღვაწეობა საზოგადო სურვილს შეხვდება, შეეთანხმება. იგი, ამ შემთხვევაში, შეგვიძლიან, შევადაროთ გამოცდილს სარდალს, რომელიც წინ მიუძღვის ჯარს, ბრძოლას მოსურვებულს. ერის იმ ნაწილის გაძღოლა, რომელსაც არა სურს წინ სვლა, არ შეიძლება!

მაშ ხელი მივცეთ საზოგადო სურვილს, უკვე მომწიფებულს, წავუძღვეთ წინ ერის ნაწილს, გამოსულს ისტორიულს გზაზედ და ნუ გავუცრუვებთ იმედებს, აღვუზარდოთ შთამავლობა!

ვ. წ.

და გითხრათ სიმართლე, ამათმა მდგომარეობამ ცუდად იმოქმედა ჩემზედ; თუმცა ცდილობდა ყველა მათგანი თავისი გაჭირვება დაემალა და არ გამოეზეურებინა. არიანისეთებიც, რომ ორი-სამი დღე სადილსაც ვერ გიახლებიან...

ამ მდგომარეობაში ჩავარდნილი მოსწავლე ახალგაზდობა არ არის საკვირველი, ცუდ გუნებაზე იყოს. სწორედ ამ გვარს გუნებაზე შევხვდი გუშინ სანდროს, რომლის დაღვრემილმა სახემ მაკითხვინა:

— სანდრო, რამ დაგაღონა, რა მოგელანდა-მეთქი.

— როგორ თუ რა მომელანდაო, ნეტავი ქვეყნად ღმერთი აღარ არისო, სინიდისმა ქენჯნა შესწყვიტაო, ნუ თუ ყველა უზრუნველ ყოფილი ივიწყებს თავის ძველს არა სანატრელს მდგომარეობას, ნუ თუ ყველას გადავავიწყდითო?!.

— რა იყო, რა მოხდა-მეთქი, გამაგებინე, თუ ღმერთი გწამს, დავუწყე მუდარა.

— ძმაო, ძალიან კარგად იცი თუ რა გვარ მდგომარეობაში ვართ ზოგიერთნი ქართველი სტუდენტობა, ორი-სამი დღე ვმარხულობთ, თავს ვიმედოვნებთ მით, რომ აი დღეს ან ხვალ მივიღებთ ფულს ერთიდან, მეორიდან და მდგომარეობას გავაუმჯობესებთო, მაგრამ დღე-დღეს მისდევს და ჩვენს კურთხეულ ქვეყნიდან ჩამი-ჩუმიც არ ისმის. როდესაც აქ იყვნენ ის ვაჟბატონები, ექიმ-იურისტები და ფილოლოგები ფული კასსიდან მიჰქონდათ, პრტყელ-პრტყელს და მაღალს ფარდოვან ფრაზებს ისროდნენ, — დღეს-კი ორ-სამ წერილზედ პასუხსაც არ გვიგზავნიან, შენი რომ ამას გიზამს — უცხოს რაღას ეტყვი, რას გაუმტყუნებ. ამის შემდეგ რა უნდა ვთქვათ, დავდუმდეთ და ავყვეთ ამ ჩვენი ბედის ჩარხის ტრიალს, ავყვეთ ხან მაღლა, ხან დაბლა გადმოვკოტრიალდეთ — სანამ ძალ-ღონეს არ დავკარგავთო. აი ეს მაფიქრებს ჩემო ძმიავ, თორემ რა გვიჭირს, საქმე ჯერ-ჯერობით უნივერსიტეტში კარგად მიდის, ფიზიოლოგიაში ეგზამენი გუშინ დავიჭირე; ყველაფერს იზამს, ყველაფერს დაიყოლიებს ჩვენებური ახალგაზდა თუ... მაგრამ კმარა, ლაპარაკიც აღარ შემიძლიან ისე ვწუხვარ, ისე მაფიქრებს ჩვენებურ ზოგიერთ ეგრედ წოდებულ, ინტელიგენტების საქმე, ქაევაო. დაამთავრა ამით სანდრომ თავისი სიტყვა და ჩაჰკიდა თავი.

სანამ სანდრო გონზედ მოვიდოდა მეც არა მითქვამს რა, მეც დავღონდდავფიქრდი. ბევრი რამ წარმომიდგა თვალ-წინ, მაგრამ ეს სასხომინდლოდ იყოს. მხოლოდ ერთს ვიტყვი ეხლა, — კაცს მგონი არ უნდა ავიწყდებოდეს თავისი ძველი მდგომარეობა, როცა უზრუნველ-ყოფილია, და არც უნდა იზარებდეს ისეთის ვალის გადახდას, როგორც სტუდენტების კასსის ვალია.

რუსეთშიც გამოჩნდნენ ეხლა, როგორც ამბობს გაზ. „Кіевлянинъ.-ი“ გუშინდელ ნომერში, ისეთი ვაჟბატონები, რომელნიც ზემოდ დასახელებულ კასსის ვალზედ სასამართლოში სრულ უარს აცხადებენ; თითოეული მათ განი ამბობს, რომ კასსის არაფერი არ მმართებსო. ამ გვარად მოქცეულა ერთი ახალგაზდა ექიმი, რომელმაც გაჭირვების დროს სასამართლოში განაცხადა, რომ მე არავითარი შეძლება არა მაქვს და ვერც გადავიხდი მაგ ვალსაო, მაგრამ მოსამართლემ იძულებულ ჰყო გადაეხადა თავის ძველი ვალი, რაიც სისრულეში მოიყვანეს კიდეც. ნუ თუ ამ გვარ ვაჟბატონების კვალს მისდევენ ზოგიერთნი ჩვენი ბატონები?..

მალ. ბოლ-აძე

## მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრი, ბ-ნი ერმოლოვი სოხუმში

—

მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრი მოვიდა აქ 15 ამ თვისას, საღამო ჟამს, ხოლო მეორე დღეს წავიდა დილის რვა საათზედ წებელდისაკენ სოფელ ოლგინსკაში რუსების სოფლის პოლტავცევის დასათვალიერებლად. ეს ის სოფელია, რომელმაც აშინოვის წყალობით ამას წინად დიდი ალიაქოთი ააყენა, როგორც მწერლობაში, ისე ადმინისტრაციაში. მართალია, წვიმიანი დღე იყო, მაგრამ ცუდს ამინდს არ შეშინებია მინისტრი და თექვსმეტს, საღამოს ჟამს, სოხუმშივე მობრუნდა. იმ საღამოს პირადად არავინ უნახავს, თხოვნები-კი მიიღო; თითქმის ყველა მთხოვნელები სამეურნეო სასწავლებლის დაარსებას თხოულობდნენ, გარდა რუსებისა, რომლებმაც ქურდობა შესჩივლეს. ქურდებისგან მოსვენება არ გვაქვს, გვიშველეთ რამეო. ამ თხოვნამ ბ-ნი მინისტრი ძლიან დაალონა და რამდენიმე სასაყვედურო სიტყვაცა სთქვა აქაურს მკვიდრთ შესახებ.

17 სექტემბერს მინისტრი დილის რვა საათზედ სოხუმის სამთო სასწავლებელში წავიდა, თან ჰყავდნენ, როგორც ყველგან, ბ-ნი აბაზა, სახელმწიფო საბჭოს წევრი, ტ. სოვ. ტატარინოვი, ბ-ნი მედვედევი, ქუთაისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა მმართველი გამრეკელი, აქაურის ოლქის უფროსი ბ-ნი ბრაკკერი, და სხვა მოხელენი. სასწავლებელში დაჰყო თითქმის ნახევარი საათი, გამოიკითხა ყოველი წვრილმანი სასწავლებლისა, შემდეგ ბაღები დაათვალიერა, გასინჯა ბაღები დიდი მთავრის ალექსანდრე მიხეილის ძისა, ნოევისა, ტატარინოვისა, მადანის ვენახი და სხვანი. ნაშუადღევის ორ საათზედ დაბრუნდნენ სადგომზედ. აქ ბ-ნს მინისტრს წარუდგნენ ქალაქის დეპუტატები და სამთო სასწავლებლის სამეურნეო სასწავლებლად გადაკეთება სთხოვეს. მინისტრი ყოველსავე დახმარებას და შემწეობას დაჰპირდა.

ჩვიდმეტ სექტემბერს, ექვსს საათზედ, ბ-ნი მინისტრი მიიპატიჟეს ქალაქის მცხოვრებლებმა. ვახშამი ქალაქის კლუბში იყო გამართული. ვახშამი გაიმართა შვიდს საათზედ და გასტანა ათ საათამდის. ბევრი სიტყვა ითქვა. მინისტრმა პასუხადა სთქვა: „მე ყოველს ღონეს ვიღონებ, რაც-კი შემეძლება, რომ ამ მშვენიერს ქვეყანას ხელი შევუწყოო, და რაც მე არ შემეძლება, იმას თვით მისი უდიდებულესობა ჩვენი დიდი ხელმწიფე შეასრულებსო. ჩემის აზრით, ამ ქვეყნისთვის საჭიროა ახალი კულტურიანი ხალხიო, ე. ი. ახალის კულტურიანის ხალხით დასახლება“.

რასაკვირველია, კულტურა კარგი რამ გახლავს, მაგრამ უფრო კარგი გახლავს ადგილობრივის ხალხის კულტურიანად გადაქცევა. ზოგიერთები ამისი წინაამდეგნი არიან, ჰგონიათ, რომ აფხაზი ვერაფერს სწავლას ვერ მიიღებსო, მაგრამ, განა იმას ეჭვი აქვს, რომ ისინი შემცდარი ბრძანდებიან? ბევრი აფხაზია აქ ამ ჟამად, რომელთაც სამეურნეო სწავლა მიუღიათ და მეურნეობას მისდევენ. ერთი იმათგანია, სხვათა შორის ბ-ნი მალანია, რომლის ზვარი თვით მინისტრმა ჰნახა და ძალიან მოიწონა, ბ-ნი ლაბახუა, შეყრილი, ზვამბაია და სხვანი. თუ ვინმეს მართლა ამ ქვეყნის სიკეთე ჰსურს, ყველაზე უკეთესი და სასარგებლო იქნება ადგილობრივ მკვიდრთ შეასწავლოს მეურნეობა, რომ ქურდობას თავი მიანებონ და მეურნეობას მიჰყონ ხელი. ეს არის ერთად-ერთი საშუალება აფხაზეთის კეთილდღეობისა.

გადამღელი

## რუსეთი

—

ოდესაში ამ ჟამად ათავებს თავისს საქმეს კომისია გენერალ ლეიტენანტის ნ. ა. სუსლოვის თავმჯდომარეობით. ამ კომისიამ დაევალა, გასინჯოს გემები შავის ზღვის ფლოტისა. კომისიამ უკვე გასინჯა 30 გემი; ამ კომისიის დანიშვნამ, ცოტა არ იყოს, გამოაფხიზლა გემების პატრონები და საჩქაროდ შეუდგნენ თავიანთ გემების შეკეთებას. გემების პატრონებმა იყიდეს მრავალი მოწყობილება გემებისთვის ზღვაში დარჩობის დროს ხალხის გადარჩენისთვის, პრობკის ქამრები და სხვ. ამბობენ, რომ რაც ოდესაში პრობკა იყო, სულ გაიყიდაო. ისე რომ კომისიას გემები ძლიერ კარგად დახვდა მოწყობილი. ხალხის გემებზე მესამე კლასის მგზავრთათვისაც-კი აღმოჩნდა პრობკის ქამრები, რაიცა არასოდეს არ ყოფილა.

მხოლოდ ერთი ნაკლი ჰქონია ყველა გემებს. გემის მოსამსახურეთ კარგად არა სცოდნიათ თავისს საქმე და კარგად არა ყოფილან გაწვრთნილნი, მხოლოდ ერთ გემზედ ყოფილა ჩინებული წესი, სახელდობრ „წმინდა ნიკოლოოზზედ“ კომისიის თამჯდომარის ნ. ა. სუსლოვის ბრძანებით, ამ გემის მოსამსახურეთა $4^1/_2$ წამის განმავლობაში მოხსნეს გემს ნავები და ზღვაში ჩაუშვეს თურმე.

გაზეთი „Донъ“-ი ერთის სალათას ძილით შეპყრობილის შესახებ უცნაურს ამბავს მოგვითხრობს.

ერთს ჩრდილო-რუსეთის სოფელში სალათას ძილით შეპყრობილს გლეხს საინჩუკს სამის დღის შემდეგ გამოეღვიძა. გამოფხიზლდა თუ არა მაშინვე ქადაგება დაიწყო ლოთობისა და ღვინის სმის წინაამდეგ. და აი, საკვირველება! გლეხებმა დაუჯერეს და სმას თავი დაანებეს. ამ მოვლენამ მედუქნეები ძალიან აალელვა და მთავრობას საჩივარი მიართვეს, რომ საინჩუკი გიჟია და ხალხი გადაგვირიაო. რაც ყოვლად მოსალოდნელია რუსისაგან, იმ ხალხისაგან, რომელსაც „სმა დიდი უყვარს, ღრეობა და სხვ.“ ამ საჩივრის გამო საინჩუკო რამდენიმე თვე ჰყავდათ დამწყვდეული საგიჟეთში და შემდეგ გამოუშვეს, რადგანაც სრულს ჭკუამყოფელ კაცად იცნეს. საინჩუკო კვლავ ამაღლდა სულით და კვლავ დაიწყო ქადაგება ღვინის სმის წინაამდეგ და გლეხებმა არამც თუ თავი დაანებეს სმას, არამედ სამი სასწავლებელიც აგეს, სადაც უმთავრესი ყურადღება საეკკლესიო გალობასა აქვს მიქცეული. თითქმის მთელი სოფელი ამღერდაო, ამბობს გაზეთი „Донъ“-ი, რადგანაც ხორო 200 კაცისაგან არის შემდგარიო.

## უცხოეთი

—

**გერმანია.** ამ უკანასკნელ დროს ევროპაში ბევრ ალაგას სცადეს, რომ მუშებმა ქარხნებში დღეში 8 საათზედ მეტი არ იმუშაონ. გერმანიის ერთს ქარხანაშიაც უცდიათ ესა და აი რასა სწერს ამ საქმის შესახებ თვით ქარხნის პატრონი.

ჩემს ქარხანაში განსაზღვრული არ იყო, რამდენი საათი უნდა ემუშავნათ დღეში მუშებს. თუმცა ადმინისტრაციამ დააწესა, დღეში $9^1/_2$ საათი უნდა იმუშაონო, მაგრამ ზამთარში, როცა ქარხანას ცოტა სამუშაო ჰქონდა, არავინ მუშაობდა დღეში $7^1/_2$ საათზედ მეტს, თუმცა ზაფხულში დღეში 14 საათსაც მუშაობდნენ. უქმე დღეს ყოველთვის იყო მუშაობა და ზოგჯერ მუშები ღამეც მუშაობდნენ. 1888 წელს სრულიად მოუსპეთ ღამე და კვირაობით მუშაობა. ორის წლის შემდეგ 9 საათის მუშაობა დავაწესეთ და სრულიად მოუსპეთ მუშაობა კვირა უქმე დღეს.

აღმოჩნდა, რომ თუმცა მუშები ნაკლებს მუშაობდნენ, მაგრამ საქმე-კი იმდენივე კეთდებოდა, რამდენიც უწინ, და მექარხნეს ხარჯიც შეუმოკლდა ოთახების გათბობისა და განათებისა. 1891 წელს ქარხნის პატრონი მოელაპარაკა მუშათა კომიტეტს და მისის თანხმობით ქარხანაში შემოღებულ იქმნა დღეში 8 საათის მუშაობა, ხოლო დღიური ფასი ისევ ის დარჩა, რაც $9^1/_2$ საათის მუშაობის დროს იყო, მაშინაც ქარხნის პატრონს არაფერი დააკლდა. დამტკიცდა, რომ კვირაობით მუშაობა არა თუ აუცილებლად საჭიროა, არამედ საზარალოც ყოფილა. მუშები ვერც კვირაობით მუშაობენ კარგად და ვერც ორშაბათობით. საზოგადოდ ქარხნის პატრონისთვის უფრო სასარგებლო ყოფილა, თუ მუშები კვირა-უქმე დღეს თავისუფლად იყვნენ და დღეში მხოლოდ 8 საათს იმუშაონ, რადგანაც მაშინ უფრო გული აქვთ მუშაობისა და საქმესაც რიგიანად აკეთებენ.

**ინგლისი.** 11 სექტემბერს დუბლინის ფენიკს-პარკში მონიფესტაცია მოახდინეს თურმე. მანიფესტანტები თხოულობდნენ, პოლიტიკურ დამნაშავე ირლანდიელთ, რომელნიც დაპატიმრებულნი არიან, თავისუფლება უნდა მიენიჭოთო. თავმჯდომარედ იყო ქალაქის ლორდ-მერი, ორატორად — ჯონ რედმონდი. ჯონ რედმონდმა წარმოსთქვა სიტყვა და ამტკიცებდა, ირლანდიის საქმე იმ დრომდე არ ჩაითვლება გარდაწყვეტილად, ვიდრე ერთი ირლანდიელი მაინც იქმნება დაპატიმრებული პოლიტიკურ დანაშაულისთვისო. რედმონდის სიტყვით, ირლანდიის მდივანი ჯონ მორლეი არის დამნაშავე, რომ დაპატიმრებულნი ირლანდიელნი აქამომდე ჯერ განთავისუფლებულნი არ არიან. დასასრულ ორატორი სთხოვდა საერო დასის ყველა წევრნი ერთხმად უნდა ეცადნენ დაპატიმრებულ ირლანდიელთა განთავისუფლებასაო.

**იტალია.** სახსოვრად 20 სექტემბრის დღესასწაულისა (როდესაც იტალიის ჯარი რომში მივიდა) მეფე ჰუმბერტომ სასჯელი შეუმცირა იმ დამნაშავეთ, რომელთაც სიცილიისა და ლუნიჯანის სამხედრო სასამართლოებმა სხვა-და-სხვა სასჯელი გადუწყვიტეს, მეფის ბრძანებით, სრულიად იქმნენ განთავისუფლებულნი ისინი, ვისაც დაპატიმრება ერთის წლით ჰქონდა გადაწყვეტილი, ხოლო დანარჩენთ დაპატიმრების ვადა ერთის წლით შეუმოკლეს. ვისაც ჯარიმა ჰქონდა გადაწყვეტილი, ყველას აპატიეს. ამ მოწყალებას ხალხზედ ისე არ უმოქმედნია, როგორც ელოდნენ მთავრობის მომხრე წრეებში.

ჟურნალ-გაზეთები თუმცა მადლობით იხსენიებენ მეფის წყალობას, მაგრამ იმასაც ამბობენ, რომ ხალხის დასაკმაყოფილებლად სრული პატიება იყო საჭირო ყველა განსამართლებულისაო.

## დიუმას აზრი საფრანგეთის კრიტიკის შესახებ

—

საფრანგეთის ცნობილმა მწერალმა დიუმამ დაჰბეჭდა თავისი წერილი, რომელიც მიუწერია საფრანგეთისავე კრიტიკოსის, ჟილისათვის. ამ წერილში გამოთქმულია დიუმას აზრი საფრანგეთის აწინდელ კრიტიკის შესახებ. აი რასა სწერს დიუმა:

„ეს წერილი რესტავრაციის დროს რომ დამეწერა, ფუტკარს შეგადარებდით, რომელიც ლიტერატურის წალკოტში აგროვებს სიტკბოს და თაფლს აკეთებს. თქვენ არ ეკუთვნით არც ერთს დასს, არა გაქვთ წინდაწინვე მოფიქრებული და შემუშავებული წესები, არამედ სწერთ კრიტიკას, ვითარცა მოყვარე კრიტიკისა, თუმცა კარგად-კი გესმით თქვენი საქმე და ნიჭიცა და ცოდნაც დიდი გაქვთ. გარდა იმისა, რაც მოპოვებული გაქვთ მე-XVII და XVIII საუკუნეთა ისტორიის ცოდნით, შეგიძენიათ კიდევ თავაზიანობა, რომელსაც ამ ბოლო დროს თანდათან ჰკარგავს ჩვენი ერი. თავაზიანობა არ ეწინააღმდეგება ჭეშმარიტებას, პირ იქით, იგი ხელს უწყობს კაცსა უფრო სავსებით შეიგნოს საკამათო საგანი და ანიჭებს იმ უპირატესობას, რომელიც აკლია სასტიკს კრიტიკოსს. მე ვერას გზით ვერ მივხვდიო, — ამბობს დიუმა, — რად გაილაშქრებენ ხოლმე კრიტიკოსები ისეთის ნაწარმოების წინაამდეგ, რომელსაც, მართალია, არ ატყვია ნიშან-წყალი დიდის ნიჭისა, მაგრამ არც თუ დასაწუნია. უმეტეს შემთხვევაში ასეთს კრიტიკოსობას კისრულობს ის, ვინც უწინ თითონ სცდილობდა კარგი რამ შეეთხზა და როცა ეს ვერ მოახერხა, მაშინ მიჰმართა განხილვას სხვების ნაწარმოებისას. ეხლა ვიკითხოთ: „ამ კრიტიკოსებს მართლა სულითა და გულით ჰსურთ დაცვა ესტეტიკისა, ხელოვნებისა და ზნეობისა? თუ მარტო ისა აქვთ აზრად, რომ, შურის-ძიებით გამსჭვალულთ, სხვას განურისხდნენ და თავს მეხი დასცენ? ლაროშფუკომ სთქვა: „ყველა ჩვენგანს მოეპოვება საკმარისი ძალ-ღონე სხვათა უბედურების ატანისაო“. ლაროშფუკოს ესეც უნდა დაემატებინა: „მაგრამ ყველა ჩვენგანს ყიველთვის არ შეუ-

ძლიან ატანა და მოთმენა სხვათა ბედნიერებისაო“. ადამიანის ბუნების სწორედ ეს თვისება არის მიზეზი ჩვენ შორის ურთიერთის სიძულვილისა, ლანძღვა-კიცხვისა და დამცირებისა.

„ჩვენ უნდა ვეცადნეთ, რომ განვახორციელოთ განუხორციელებელი მცნება ერთურთის სიყვარულისა, და ან ისე მაინც მოვიქცეთ, რომ სხვებს მოვაჩვენოთ, ვითომ ძლიერ გვიყვარს ერთმანერთი“. არაფერი საკვირველი იქმნება, რომ იმ ხალხმა, რომელიც ამტკიცებს, მთელს დედამიწის ზურგზედ ჩვენისთანა ოხუჯი არავინ არისო, ეს ოხუჯობა გამოიჩინოს იმითი, რომ მუდამ აქოს თავისის ერის ნაწარმოები. აკი ვეცადენით და ყველანი დავაჯერეთ, რომ ბორდოსა და ბურგუნდიის ღვინოს მთელს ქვეყანაზედ ღვინო არა სჯობიანო, და ეხლა ბორდოსა და შამპანიის ღვინის მაგიერად ყალბსა და უვარგისს ღვინოებსა ვყიდით.

ასევე შეგვიძლიან მოვიქცეთ ლიტერატურის შესახებაც, მით უმეტეს, რომ, რაც უნდა იყოს, ჩვენს ლიტერატურას მაინც პირველი ადგილი უჭირავს მთელს ქვეყანაში. ამის მიუხედავად ჩვენი თანამემამულენი ისე ძლიერა ჰკიცხავენ ჩვენს ლიტერატურას, რომ უცხოელნიც-კი გვეუბნებიან: „არა, თქვენი ლიტერატურა ისეთი ცუდი არ არის, როგორც თქვენ თითონ ამბობთო“. და, ამის დასამტკიცებლად ჩვენს ნაწარმოებისა სთარგმნიან ყველა ენაზედ, ყოველს თეატრში არდგენენ და ავტორების ნება დაურთველად მიჰყოლიან ჩვენის ნაწარმოების თარგმნას, გადაკეთ-გადმოკეთებას, შემოკლებასა და მოპარვასაც-კი. და ჩვენი კრიტიკოსები-კი მაინც ჰყვირიან, საფრანგეთის ლიტერატურა და ხელოვნება თან-და-თან დაქვეითდაო“!

## ორატორი ჟორესი

„Figaro“-ს ერთს უკანასკნელს №-ში დახასიათებულია საფრანგეთის მუშათა დასის ცნობილი ორატორი ჟორესი. ეს პირველი ნიმუშია იმ სურათებისა, რომელიც პარიჟის გაზეთმა აღუთქვა თავისს მკითხველებს. ჟორესი იმ მუშათა დასის წარმომადგენელი არ არის, რომელთაც ჩვეულებრივ ექომაგება გაზეთი „Figaro“. რაც შეეხება ჟორეს საპოლიტიკო მიმართულებას, იგი ფრანსისმანისა და იმის გაზეთისა დიდი წინააღმდეგია. მით უმეტეს საყურადღებოა ის წერილი, რომლისგანაც ჩვენ ზოგიერთს ადგილებს ამოვბეჭდავთ. როდესაც საყურადღებო კამათობის დროს, ამბობს ავტორი „Figaro“-ში დაბეჭდილ წერილისა, „Quidam“-ი, პალატის პრეზიდენტი დარეკავს ხოლმე ზარს და დალალულ მაყურებელთ აუწყებს, რომ სიტყვა ბ-ნ ჟორეს ეკუთვნისო, ჩვეულებრივი ხმაურობა ჯერ ჩურჩულად გადაიქცევა, ამტკიცებს, რომ ყველა მზად არის ყური უგდოთო და მერე სამარებრივი დუმილი მეფდება. უკანასკნელმა მის მიერ წარმოთქმულმა სიტყვებმა დიდად ალამაღლა ჟორესი მჭერმეტყველების დამფასებელთა წინაშე. როგორც მომხრენი, ისე წინააღმდეგნი, დიდად აფასებენ იმის ორატორულ ნიჭს, და უპირველესს ადგილს უთმობენ იმ მჭერმეტყველთა შორის, რომელთაც ამ უკანასკნელს წლებში იჩინეს თავი საფრანგეთის პარლამენტში.

ეჭვს გარეშეაო, განაგრძობს ავტორი, რომ მას შემდეგ, რაც კლემანსო მიეფარა (რასაკვირველია, დროებით), დეპუტატთა კრებაზედ არავის არა აქვს ისეთი გავლენა, როგორც ჟორეს. ამასი მჭევრ-მეტყველება იმითი განესხვავება კლემანსისას, რომ ჟორესი უფრო მეცნიერულად და მშვენივრად ლაპარაკობს, თუმცა აწინდელ დროის ხასიათი მის საუბარს ნაკლებად აქვს და ნაკლებადაც არის დაფუძნებული გამოცდილებაზედ. ჟორესი ხშირადა ჰხმარობს ხოლმე ძველებურს ფორმებს, კარგად აქვს შესწავლული საიდუმლო სიტყვათა შეკონვა-გალამაზებისა და იცის კიდეც სიტყვების მარჯვედ სროლა. ერთმა ნაცნობმა უსაყვედურა ჟორესა, რომ მოუმზადებლად რატომ არას იტყვითო. ჟორესმა უპასუხა: მაგრე იმიტომ ვიქცევი, რომ მე დიდს პატივსა ვცემ პარლამენტს და მოუმზადებლად ლაპარაკი-კი მისი შეურაცხება იქნებაო“.

თავის ნიჭისა და იმ გავლენის წყალობით, რომელიც მჭევრ-მეტყველებით მოიპოვა, ჟორესს პარლამენტში მართლაც დიდად სცემენ პატივსა. ვერავინ ვერც-კი გაჰბედავს, იმის ლაპარაკს ყური არ დაუგდოს, ხოლო რადგან ჟორეის მოსმენა სასიამოვნოა, მას შეუძლიან მოითხოვოს სიტყვა, როდესაც ხურს და ილაპარაკოს იმდენს ხანს და იმდენი, რამდენსაც საჭიროება მოითხოვს.

## გამოსადეგი ცნობა

ცხენის თვალის ბისტის მოსარჩენად, მრავალ საშუალებათა შორის, შემდეგი საშუალებაა საყურადღებო, როგორც უფრო ნამდვილი. რომელ თვალშიაც ბისტი აქვს ცხენს, უნდა ჩავჰბეროთ მინის წვრილის მილით ან ფრთით, რომელსაც თავი და ბოლო მოჭრილი აქვს, ფხვნილი კალომელი (хлористая ртуть) დღეში ორჯელ, დილით და საღამოთი.

თუ პირუტყვი, რაც ხშირად დაემართება ხოლმე ცხენს, თვალს ჯერ ახელს რიგიანად, მაშინ აიღეთ ორი ჩაის კოვზი ზეითუნის ზეთი, ნახევარ ჩაის კოვზი ფხვნილი კალომელი, კარგათ აურიეთ ერთად და ბატის ფრთით გამოუსვით თვალში, ქუთუთოს ქვეშ, დილით და საღამოთი.

ორივ შემთხვევაში ყოველ დღე უნდა გაუკეთოთ წამალი, ვიდრე მოურჩება თვალი. ამ წამლით დიდის ხნის ბისტიც-კი რჩება ორს კვირაში.

ზოგიერთნი ამ საშუალებასაც მარგებლად სთვლიან: ცოტაოდენი ფხვნილი დარიშხანა ბატის ფრთით უნდა ჩააყაროთ თვალში 3—4 ჯერ 3—4 დღეში ერთხელ. პირველი საშუალება მაინც უმჯობესია უკანასკნელზედ.


# განცხადებანი

კბილის ექიმი

**ვ. ი. ჭიჭინაძე**

(მიხეილის ქუჩა, სახლი კრაუზესი, 79)

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9 საათიდგან, ნაშუადღევის 2 საათამდის და საღამოს 4—6 საათამდის.

რთულის ოპერაციის დროს დაესწრება ექიმი ი. ს. ელიაშვილი.

(50—6.—2)

# ცხოვრება

დიდისა მოწამისა პანტელეიმონისა

თარგმნილი

მ. შარაძის მიერ, გამოცემა ი. ჩიჩუასი

**ფასი ერთი შაური**

ისყიდება ტფილისის ქუთაისისა და ოზურგეთის წიგნის მაღაზიებში და შარაძისა და ამხან. სტამბაში.



# კავკასიის რკინის გზის

# მმართველობა

აუწყებს ბ-ნთ ხე-ტყის პატრონთა და ვაჭართ, რომ რკინის გზისათვის 1895 წელს საჭირო იქმნება ხე-ტყე:

ა) გზისათვის ტრავერსები, რომელზედაც რელსები იწყობა.

1) მუხისა . . . . . . . . . 100.000 ცალი

„ ვოლგის ნაპირებიდგან მოტანილი, ან აქაური, ფიჭვისა და ნაძვისა . . . . . . 200.000 „

2) ძელები (Переводныхъ брусьевъ) მუხისა . 90 მთელად

„ „ ფიჭვისა ანუ ნაძვისა . 120 „

3) ფიცრები ფიჭვისა ანუ ნაძვისა სიგრძით 3—4 საჟენი, სისქით $^{3}/_{4}$"-დგან $2^{1}/_{2}$" და სიგანით $5^{1}/_{2}$—6 ვერშოკი 6.400 ცალი

4) ძელი ფიჭვისა ანუ ნაძვისა სიგრძით 4 საჟენი და სისქით 5—6 ვერშოკი . . . . . . 700 „

5) ფოსტის ფიცარი, სისქით ბოლოში არა ნაკლებ $1^{1}/_{4}$ ვერშოკისა . . . . . . . 1 800 საჟ.

და 6) რამდენიმე ძელი შემოსაფიცრად და რამდენიმე სხვა და-სხვა ზომის კოჭები და სხვა (ფასი უნდა იყოს აღნიშნული კუბიკურ ფუტზე).

ბ) მატარებელთა მმართველობისათვის (служба Тяги).

1) ძელი ნაძვისა ანუ ფიჭვისა დიამეტრით 7—16 ვერშოკამდის (ორთა შუა დიამეტრი 10 ვერშოკზედ ნაკლები არ უნდა იყოს) . . . . . . 160.000 კუბ. ფ

შენიშვნა. ძელის მაგიერად შეიძლება ფიცრები იყოს, ხოლო შემდეგის ზომისა:

იატაკისა (половыхъ) 9"×2"×21 ანუ 28 ფუტი . 60.000 საჟ.

„ 6"×$1^{1}/_{2}$"×21 ფუტი . . . 6.000 „

გვერდისა (бортовыхъ) 6"×$1^{3}/_{4}$"×22 ფუტი . 3.000 ფუტი

„ 6"×$1^{3}/_{4}$"×19 ფუტი . . . 8.000 „

„ 6"×$1^{3}/_{4}$"×17 ფუტი . . . 3.400 „

ასაფენი ფიცრები (обшивочныхъ) 7 $5^{1}/_{2}$-ზედ ვერშოკი და სიგრძით არა ნაკლებ $4^{1}/_{2}$"×1"×21" ანუ 28 ფუტი 140 000 „

ასაფენი 4"×$^{5}/_{8}$"×21 ანუ 28 ფუტი . . . 16.000 „

2) ძელი მუხისა, სიგრძით $10^{1}/_{2}$ ფუტი, დიამეტრით 9 ვერშოკი და მეტიც . . . . . 112.000 კ. ფ.

3) ძელი მუხისა, სიგრძით $19^{1}/_{2}$ დიამეტრით 5 ვერშოკი და მეტიც . . . . . . . 16.000 „ „

4) კოჭები მუხისა, სიგრძით 10 ფუტი 4 დიუმი გული (сѣченіемъ) $12^{5}/_{8}$"$4^{1}/_{2}$"-ზედ. . . . . 7.000 „ „

შენიშვნა. ეს კოჭები შეიძლება $12^{5}/_{8}$" 9 დიუიმზე, მაშინ საჭირო იქმნება 3.500 ცალი.

5) მურყანის (თხემლის) კოჭები, გულით არა ნაკლებ სამის არშინისა. . . . . . . . 80.000 კ. ფ.

ძელი ცაცხვისა დიამეტრით არა ნაკლებ 10 ვერშ. სიგრძით არა ნაკლებ სამის არშინისა . . . . 2.000 „ „

ძელი ძელქვისა დიამეტრით არა ნაკლებ 8 ვერშოკისა, სიგრძით არა ნაკლებ 9 არშინისა. . . . 1.000 „ „

გ) ტელეგრაფისათვის.

1) ბოძები ფიჭვისა ანუ ნაძვისა, სიგრძით 4 საჟენი ბოლოში დიამეტრი უნდა ჰქონდეს 6—$6^{1}/_{2}$ ვერშოკი, წვერში 3 ვერშოკი. . . . . . . . 450 ცალი

2) ნალი (надставка) მუხისა, სიგრძით 5 არშინი, ზემოდ დიამეტრი უნდა იყოს 3—$3^{1}/_{2}$ ვერშოკი ბოლოკი 4—$4^{1}/_{2}$ ვერშოკი. . . . . . . 960 „

3) ნალი მუხისა, სიგრძით 7 არშინი, წვერში დიამეტრი 3—$3^{1}/_{2}$ ვერშოკი, ბოლოში-კი 4—$4^{1}/_{2}$ ვერშოკი . 510 „

შენიშვნა. ბოძების და ნალების რიცხვიდგან 450 ბოძი, სიგრძით 60—5 არშინამდის და ტელეგრაფისათვის ნალი, სიგრძით 60—7, უნდა ჩაბარებულ იქმნას 1895 წლის 1 აპრილამდე.

ვისაც ჰსურს იჯარით აღება ყველა ზემოდ ჩამოთვლილ მასალისა, ან ნაწილ-ნაწილად, უნდა რკინის გზის უფროსის კანცელარიაში გამოგზავნონ თავისი განცხადებანი: გზის მასალისათვის განცხადება უნდა წარმოადგინონ არა უგვიანეს 20 ოქტომბრის დღის 12 საათისა. ტელეგრაფისა და მატარებელთა მმართველობისათვის 25 ოქტომბრის 12 საათისათვის, ან არა და განცხადება შეუძლიანთ პირადად გადასცენ საზოგადოების კრებას, რომელიც იმავ რიცხვებში, პირველ საათზედ იქნება. განცხადება უნდა დაბეჭდილ კონვერტში იყოს, ზედ წარწერით „კავკასიის რკინის გზის საკრებულოს ქალაქ ტფილისში, განცხადება ამა თუ იმ მასალის წარმომადგენელისა“ (Въ общее Присутствіе Управленія Закавказской Желѣзной дороги въ г. Тифлисѣ. Заявленіе на поставку такихъ то матеріаловъ).

განცხადებებში დაწვრილებით უნდა მოხსენებული იყოს ფასი, რაოდენობა, ადგილი და ვადა მასალის წარმოდგენისა, წოდება ან ხარისხი, სახელი, მამის სახელი და ადრესი გამომცხადებელისა. ვისაც ჰსურს იჯარით აიღოს ამ მასალის მოტანა უნდა წარმოადგინონ, რკინის გზის სამმართველოში (ზემოხსენებულის ადრესით) გირაოდ 10% იმ ფასისა, როგორც თვითონ მსურველი დააფასებს მასალასა თვისს განცხადებაში, ამასთანავე ის კვიტანციები, რომელიც გირავნობაში მიეცემა ფულის წარმომადგენელს და ფოსტის ნამდვილი ბარათი განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს.

მას შემდეგ, როდესაც საზოგადო საკრებულო განიხილავს ყველა განცხადებებს, იმათ, ვისაც იჯარა არ ერგოთ, შემოტანილი ფული უკანვე დაუბრუნდებათ. დანარჩენთ-კი პირობის დაწერის დროს შემოტანილი ფული გირაოდ ჩაეთვლებათ.

გზის მმართველობის კასსა, გირაოების შესატანად ყოველ დღე ღიაა ხოლმე დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდის გარდა კვირა უქმე დღეებისა.

ერთი მესამედი საჭირო მასალისა უნდა ჩაჰბარდეს რკინის გზის მმართველობას არა უგვიანეს პირველ მაისისა, მეორე მესამედი—არა უგვიანეს პირველი მკათათვისა და დანარჩენი არა უგვიანეს პირველი სექტემბრისა 1895 წლ.

რკინის გზის მმართველობას ნება აქვს მსურველებთა შორის ის ამოარჩიოს, ვინც თითონ უნდა. ამასთანავე მხედველობაში დაბალი ფასები არ ექმნება.

რკინის გზის მართველობის საზოგადო საკრებულოს გადაწყვეტილება უნდა დაამტკიცოს სახელმწიფო რკინის გზათა მმართველობამ.

დაწვრილებითი პირობანი და აგრეთვე განცხადების ფორმები მსურველთ შეუძლიანთ ყოველ დღე მასალისათვის დაარსებულ კანტორაში (ტფილისი, მიხეილის ქუჩა, სახლი ემინოვისა) მოიკითხოს დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე, გარდა კვირაუქმე დღეების.

გარეშე ქალაქების იჯარადრებს შეუძლიანთ დეპეშით დაიბარონ ფორმები განცხადებისათვის, მხოლოდ ადრესი უნდა მოიწერონ და აგრეთვი დაწვრილებითი პირობები, რომელ მასალის იჯარით აღება ჰსურთ.

შენიშვნა 1. შპალების შესახებ განცხადება 3.000 ცალზე ნაკლები არ შეიძლება, მხოლოდ დახერხილ მასალაზე—არა ნაკლებ 29.000 კუბიკ. ფუტისა.

შენიშვნა II. თუ იმპერიის შიდა გუბერნიებიდგან უნდათ გამოგზავნონ მასალა, ნება აქვთ, მარტო ნაძვის ხე-ტყე გამოგზავნონ. ფიჭვი-კი უთუოდ ამიერ-კავკასიის ტყეებიდგან უნდა გამოზიდონ.

3—6.—1)


Дозволено цензурою Тифлисъ, 21-го Сентярбя 1894 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.